დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 92 სამშაბათი, 28 აპრილი 1909 წ. № 92

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 6-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას 3 მაისს მუშტაიდის ბაღში

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია

ლატარიაში ყველა ბილეთი მომგებიანია

ლატარიაში, სხვათა შორის, ჩაგდებულია: სააგარაკე მიწა სადგურ სურამთან 300 ოთხ. საჟ., ძვირფასი მხატვრული ფარაჟ (შემოწ. კნ. ელის. შუხრან-ბატონისა), სრული სერვიზი ფაიფურისა (შემ. კნ. იულია თუმანიშვილისა), ძროხა, ვერცხლის ნივთები და სხვ.

დილით 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის გაიმართება

განსაკუთრებული სეირნობა

ბავშვებისათვის

მრავალის სხვა და სხვა გასართობით: კარუსელი.—სირბილი.—ბურთაობა.—ნიშანში სროლა.—ბოძზე აძრობა.—გადახტომა.—გაჯიბრება საჩუქრებით.—საჩუქარი საუკეთესო ეროვნულ ტანისამოსისთვის მუსიკა.

საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის

დიდი სეირნობა და ლატარია

ფოლი. მკითხაობა. ფოსტა.—კონფეტტი.—ყვავილების ბრძოლა.—პროჟექტორი გარეთ ეკრანზე.

ორი ორკესტრი სამხედრო მუსიკისა.—საზანდარი.—მესტვირე.

ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ბავშვებისთვის 10 კაპ. ლატარიის ბილეთი 50 კაპ. (0—უ.—1)

წარმოდგენა № 15. ## ქართული თეატრი **წარმოდგენა № 15.**

პარასკევს, 1 მაისს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ორი ოპერეტი

ტასო აბაშიძის საბენეფისოდ

რაინდი უშიშარი და გულმართალი

ოპერეტი 2 მოქმ. მუზ. ლეკოკისა თარგ. ვ. აბაშიძისა,

ნატვრის თვალი

(Mascotte).

ოპერეტი კომ. 3 მოქმედ. მუზ. ედუარდ ოდრანისა თარ. აზნაზაროვისა. მონაწილ. მიიღებს მთელი დასი **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.

დირიჟორი **პოლ. ფალიაშვილი.**

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია

მიიღება ხელის მოწერა დუტუ მეგრელის ნაწერებზე

ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ აპრილსა და აგრეთვე მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების“ რედაქციის სახელზე ტფილისში.

ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით· ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება“-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (12—უ.—7)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

იყიდება საგანგებოდ, შეკვეთით გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, პაპილიანა კაკიძის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ექვსმა მისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხ-ფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილებ დიმიტრიადთან და ექვ. ბერძენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდორაძესთან და კაცაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სიხარულიძესთან და გ. ცინცაძესთან, ნაგომარზედ—ა. ნიკოლაშვილთან, კელენჯიხაში—იაკობ. შანავასთან. (23—121—21)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს დილით7—9 ს., საღამოთი 5—7 ს, ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 50)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—64)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—133)

ექიმი ქუთაისში **ვ. წერეთელი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
- **ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
- **გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

- **ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
- **ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—47)

ვამზადებ

საშუალო სასწავლებელთა

მოწაფეებს.

ვასწავლი: ფრანგულს, გერმანულს და ლათინურს ენებსა. ფასი შეღავათიანია.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, «Семейные номера», N 12. (4—218—4)

მაღაზია იკეტება 1 მაისს.

ისარგებლეთ შემთხვევით!

საოცარი იაფი ფასები

მხოლოდ 3 დღეს

28, 29 და 30 აპრილს.

ვაჭრობის მოსპობისა გამო.

ძმ. ა. და ი. ალშვანგების მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტზე,

აბრეშუმის, ბატისტის ხალათებს, პენუარებს, მატინეს, ბავშვის ტანისამოსს, სალოფებს, კაპორებს, ქამრებს. **უკვე დაკლებულ ფასზე კიდევ დააკლდება.**

25%.

ყველა დანარჩენ საქონელს, მაგალითად—კაცის, ქალის და ბავშვის საცვალს, ტილოს, სუფრეულს, ჩულქებს, წინდებს და სხვებს.

უკვე დაკლებულ ფასზე დააკლდება კიდევ 15%.

(4—6.—2)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი

ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—114)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—110)

„ტფილისის სობრანიე“

სამშაბათს, 28 აპრილს, უკანასკნელი **საოჯახო საღამო.** საზამთრო სადგომში რუს-მალოროს არტისტთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

„ქიდივკა ვიხრესტა“

საღამოზე დაუკრავს საზანდარი. სტუმრები საზოგადო წესით.

წარმოდგენის ბილეთები 30 კაპ.-დან 1 მანეთამდე. (1—229—1)

ხუთშაბათს, 30 აპრილს,

საღამოს 7 საათზე სამკურნალო საზოგადოების სადგომში, გიორგიევის ქუჩაზე, № 4, ალექსანდრეს ბაღში,

ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე

წაიკითხავს ლექციას

ჭლექის შესახებ,

ბუნდოვანი სურათებით.

ფასი: 50 კ. 30 კ. და 20 კ.

შემოსავალი დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების პირველ სამკითხველოს სასარგებლოდ. (უ. 3—1)

ქუთაისის ვაჟთა

გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები 1 კლასში მოსამზადებელ კლასის მოწაფეთათვის და აგრეთვე გარეშე მსურველთათვის მოხდება ამა წლის 19, 20 და 23 მაისს, ხოლო გამოცდა შინ მომზადებულებისა, რომელთაც სურთ ამა თუ იმ კურსის ეგზამენი დაიჭირონ მოწმობების მისაღებად, მოხდება 15—31 მაისს. თხოვნები პირველ კლასში ეგზამენის დასაჭერად მიიღება 12 მაისამდე თხოვნასთან ერთად უნდა იყოს დაწესებული დოკუმენტები და ერთი ფოტოგრაფიული სურათი, შემოწმებული პოლიციის მიერ. თხოვნა უდოკუმენტებოდ და უსურათოდ უყურადღებოდ იქნება დატოვებული. (3—6.—1)

ქუთაისის მთავრობის ქალთა

გიმნაზია

(რიონ-გაღმის ნაწილი, შესხვთის ქუჩა), ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, 1, 2, 3 და მეოთხე კლასებში და ეგზამენები მოწმობების მისაღებად დაიწყება ამა წლის 15 აპრილს,

ეგზამენების დაწვრილებით განაწილება გამოკრულია გიმნაზიაში. (3—6.—1)

ტფილისი, 28 აპრილი

სხვა და სხვა კრიზისს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, უნდა მიემატოს ინტელიგენტურ ძალების კრიზისიც. მკითხველს ეცოდინება, რომ ხშირად ეკონომიურ ნიადაგზე კრიზისი ისეთ დროს ჩნდება, როცა ზედმეტი წარმოებაა გაჩაღებული და ნაწარმოები საქონელი აუარებელი ალაგია საწყობებში, თუმცა კი ხალხი სწორედ ამ საქონლის ხელმიუწდომლობისაგან არის შეწუხებული. რადა ჰხდება ასე—ეს სხვა საკითხია, მაგრამ ამ გვარივე ხასიათი აქვს ინტელიგენტურ ძალების ეხლანდელს კრიზისს.

ნასწავლი და განათლებული ადამიანები საკმაოდ ბევრი გვყავს, იმათი რიცხვი წლითი წლობით იზრდება, მაგრამ სწორედ იქ, სადაც ამ ადამიანების საჭიროებაა, იქ არავინ ან თითქმის არავინ არა სჩანს. ჩვენს საზოგადოებრივ დაწესებულებებში თითქმის ყველგან ერთსა და იმავე პირებს ვხედავთ, ნაირ-ნაირ ახალ საქმეს, რომლის საჭიროებაც თითქმის ყველას შეგნებული გვაქვს, ინიციატორი და გულწრფელი მუშაკი აკლია. დავასახელოთ მაგალითისთვის ტერიტორიის შერჩენის საქმე. ამ საგანზე ბევრი რამ დაწერილა და მრავალი მხურვალე სიტყვა წარმოთქმულა სხვა და სხვა ოფიციალურ და კერძო კრებაზე, მაგრამ იგი მაინც ერთს წერტილზეა გაყინული და ცოცხალ საქმედ ვერ გადაქცეულა. თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისია უფრო ქართველ გლეხების მიერ შეძენილ მიწების შემთხვევითი რეგისტრატორია, ვიდრე აქტიური აგენტი ამ რთულ საქმისა; ეს კომისია უფრო იურიდიულ დარიგებას აძლევს მყიდველ გლეხს და გამყიდავ მემამულეს, ვიდრე მიმართულებას მიწების მობილიზაციის პროცესს. რაც უნდა იყოს, ეს კომისია მაინც თავად-აზნაურობის კომისიაა და არა ქართველ ინტელიგენციისა, რომელიც გულში მაგრა ირტყამს ხელს ქვეყნის თვალში, ხოლო საქმით კი არაფერს არ აკეთებს. მოვიგონოთ, რამდენი რამ დაწერილა და თქმულა უკანასკნელ წლების განმავლობაში სასოფლო მეურნეობის ტეხნიკურ გაუმჯობესებაზე, საკოოპერაციო ორგანიზაციების მოწყობაზე, პირველ-დაწყებით და პროფესიონალურ სახალხო განათლებაზე და სხვა ამგვარ საქმეებზე, მოვიგონოთ მეორეს მხრივ, რომ ამავე დროს ორიოდე დაბეჯლებულ ტიპის სკოლის გარდა და ორიოდე საკრედიტო ამხანაგობის გარდა არაფერი არ დაარსებულა, და ჩვენ ნათლად წარმოვიდგენთ ჩვენებურ ინტელიგენციის უძლურებას.

იქნება იფიქროთ, ალბად მეტად ცოტა განათლებული ხალხი გვყავს, რომ ასეთი უდაბნოა იქ, სადაც მათს მოქმედებას თვალწარმტაცი წალკოტი უნდა გაეშენებინა. შემცდარი ფიქრია! აბა მიიხედ-მოიხედეთ გარეშემო, რამდენი დიპლომიანი ყმაწვილი კაცი და ქალი დაეძებს სამსახურის საშოვნელად ძლიერს პროტექციას, რამდენი დიპლომიანი ასრულებს ხშირად უჯამაგიროდ მთელის წლობით გადამწერის მოვალეობას მთავრობის დაწესებულებებში, რომ ბოლოს რაიმე ჯამაგირიანი ადგილი იშოვოს, რამდენი ახალგაზდა ქართველი ექიმია ტფილისში, რომელსაც ავადმყოფები არ იკარებენ, რამდენი ახალგაზდა ვექილია, რომელთაც საქმეები არ გააჩნიათ... არა, განათლებულ ადამიანების სიმცირე აქ არაფერ შუაშია; უბედურება ის არის, რომ ისინი იქით მიიბრძვიან, სადაც მათი შრომა საჭირო არ არის, ხოლო იქ კი, სადაც მოქმედი ინტელიგენტური ძალებია საჭირო, იქ განათლებული ადამიანები არა სჩანან. ხშირად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა დიდს გაჭირვებაში ჩავარდება ხოლმე, რადგან სკოლისთვის განათლებულ მასწავლებელს ვერ შოულობს, და ეს იმ დროს, როცა ბევრი განათლებული ადამიანი სასოწარკვეთილებაში ვარდება, რადგან სამუშაო და საქმე ვერ უპოვნია.

ამ ორმხრივი უბედურების ძირითადი მიზეზი ღრმად არის ჩათესილი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ პირობებში—ერთის მხრივ, და ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობაში ბრმად და უპრინციპოდ ერთხელ და სამუდამოდ გაკვერილის გზებით მეორეს მხრივ. ჩვენის მოზარდ თაობის განათლებას სულერთიან გაწყვეტილი აქვს ხალხის მომწიფებულ საჭიროებებთან შემაერთებელი ძაფი და ამ ნიადაგზე კი სხვა რა შეიძლება აყვავდეს იმის გარდა, რომ ერთის მხრივ ხალხი განიცდის დაუკმაყოფილებელ საჭიროებას განათლებულ ადამიანებისას, ხოლო მეორეს მხრივ კი განათლებულნი ჰხედავენ, რომ ისინი მეტნი არიან ცხოვრების მეჯლისზე. ჯერ-ჯერობით მწვავეთ და სასტიკად ჩვენ მხოლოდ ამ ორკეც უბედურების ერთს მხარეს ვგრძნობთ, სახელდობრ ინტელიგენტურ ძალების სიმცირეს, მაგრამ კიდევ რამდენიმე წელიწადი და უფრო მწვავედ ინტელიგენტურ პროლეტარიატის გასაჭირ მდგომარეობას ვიგრძნობთ.

რა თქმა უნდა, ამ უბედურებასთან ბრძოლაა საჭირო და ამ ბრძოლის წარმოებას კი კარგად ნაანგარიშევი და ღრმად მოფიქრებული გეგმა ესაჭიროება. მთავარი ადგილი ამ გეგმის შექმნაში უნდა დაეთმოს იმ პრინციპს, რომ სკოლა და განათლება ქართველ მოზარდ თაობას ხალხის ცხოვრების ბუნებრივს ნიადაგს კი არ აშორებდეს, არამედ რაც შეიძლება მეტად უახლოვებდეს. ჩვენს დროში, როცა მშობელს ნორჩი ბავშვი პირველად სასწავლებელში მიჰყავს, იმაზე ოცნებობს, ნეტავი ჩემი ბავშვი ისეთი ადამიანი დადგეს, რომ არაფერში თავის მშობელს არა ჰგვანდესო. ამიტომ, სოფლის მეურნე თავის შვილს სამეურნეო განათლებას არ აძლევს, ვაჭარი სავაჭროს, მღვდელი სასულიერო-მეტყველოს და სხვა. განათლება რომ ყოველ საქმეში სასარგებლოა და ნაყოფიერი, რომ იგი სწორედ პრაქტიკული იარაღია ყოველგვარ საქმიანობის გასაუმჯობესებლად—ამაზე თითქმის არავინ არა ფიქრობს; სასკოლო განათლებას ისე უცქერიან, როგორც ადამიანის სოციალურ მდგომარეობის გადამქნელს საშუალებას. მემამულე მშობელს ერთ დროს სკოლაში იმიტომ მიჰყავდა შვილები, რომ ისინი ბოლოს სამხედრო სამსახურის კაცები გამხდარიყვნენ; ეხლა იმიტომ მიჰყავს, რომ სამოქალაქო უწყების მოხელეები გამოვიდნენ. შეიცვალა გემოვნება, მაგრამ დედა აზრი კი იგივეა: სკოლამ მოზარდ თაობას სოციალური მდგომარეობა უნდა შეუცვალოს. თითოეულს შემთხვევაში ასეთი შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ საერთოდ კი ამ მისწრაფების ნაყოფი ის არის, რომ მოზარდი თაობა მშობლებისაგან ნაანდერძევ ნიადაგს ჰშორდება და ახალს ნიადაგს კი ვერსად პოულობს. უნიადაგოდ დარჩენილი იგი სხვათა ხელში შემყურე ჰხდება, ეკარგება ინიციატივა, მოქმედების უნარი და საზოგადოებრივის თვალსაზრისით უმნიშვნელო ოდნობად იქცევა.

ეხლანდელი მოზარდი თაობა საშუალო განათლების დასრულების უმალვე წყალობას ეძებს, ჯერ სტიპენდიის და შემდეგ რაიმე სამსახურში ჩარიცხვის სახით. იმისი გულისყური ჯერ ისევ სასწავლებელში მიიმართება წყალობისკენ და არა თვით-მოქმედებისკენ. ამას კი დიდი, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პსიხოლოგიურად. ჩვენ, ქართველები, ღარიბნი ეკონომიურად და დაჩაგრულნი პოლიტიკურად, წყალობის იმედით ვერ ვიხეირებთ, ჩვენ მხოლოდ თვით-მოქმედების იმედით შეგვიძლიან ვიცხოვროთ. ამ პრინციპის მიხედვით უნდა შეიცვალოს სწავლა-განათლების საქმე ჩვენში. რა თქმა უნდა, ამ საქმის რეფორმისთვის ყოვლის უწინარეს ქართველი პედაგოგები უნდა გაისარჯნენ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აპრილი

ოსმალეთი

სტამბოლი. ელჩად ლონდონში უნდათ დანიშნონ დიდ ვეზირად ნამყოფი თევფიკ-ფაშა.

ილდიზის აღწერის დროს ჯერ-ჯერობით აღმოაჩინეს ფულადა, ფასიანი ქაღალდები და ძვირფასი ნივთები 5,000,000 ოსმალურ გირვანქისა და სია 20,000,000 გირვანქად ღირებულ ფასიან ქაღალდებისა, რომლებიც შენახულია უცხოეთის ბანკებში.

სამხედრო გამომძიებელმა კომისიამ დაამტკიცა, რომ 31 მარტის შეთქმულობის ხელმძღვანელი ყოფილა აბდულ-ჰამიდის მოძღვარი მოლა აჯევდე-ადა, რომელიც ფულს იღებდა სულთნისაგან და ურიგებდა უმთავრეს თანაშემწეებს; მათგან დიდ როლს თამაშობდნენ რედაქტორები: „მიზან“ისა—მურადი და „იკდამ“-ისა—ალი-ქემალი.

სტამბოლი. პალატამ პირველ წაკითხვის შემდეგ მიიღო კანონი კრებების შესახებ. ამ კანონის თანახმად, კრებები თავისუფალია, საჭიროა მხოლოდ წინასწარი განცხადება, რომელიც უნდა წარდგენილ იქმნას ერთი დღე-ღამის წინ და ხელ-მოწერილ უნდა იყოს ორის ადგილობრივ მცხოვრებლის მიერ; ამას გარდა განცხადებაში უნდა აღნიშნული იყოს დრო, ადგილი და საგანი კრებისა. კრება მოვალეა პრეზიდიუმში აირჩიოს არა ნაკლებ სამის კაცისა. კრებას ესწრება პოლიციელი მოხელე, რომელსაც უფლება აქვს დაშალოს კრება, თუ იგი კანონს დაარღვევს. კრებების გამართვა აკრძალულია გზებზე, მოედნებზე-კი ნება დართულია მხოლოდ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე.

ამის შემდეგ პალატამ მოისმინა კილიკიის სომხის კათალიკოსის დეპეშა, რომელშიაც კათალიკოზი თხოულობს დაუყოვნებლივ დახმარებას აკლებულ და დამშეულ მცხოვრებთათვის.

პალატამ განმარტება მოსთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს, თუ რატომ არ შეუსრულებია პალატის მიერ ერთის თვის წინად მიღებული დადგენილება, რომლის ძალით 100,000 ოსმალური გირვანქა უნდა დაერიგებინათ ანატოლიის მცხოვრებთათვის ყანების დასათესად. პალატამ სხდომები სამშაბათამდე გადასდვა, რადგან ორშაბათს დანიშნულია ცერემონია: ახალი სულთანი შემოირტყამს ოსმანის ხმალსა.

სტამბოლი. დეპუტატთა პალატა იხილავდა კანონ-პროექტებს კონსტიტუციისა და კრებების შესახებ. მოისმინა აგრეთვე დიდი ვეზირის წინადადება, რომ დაჩქარებულ იქნას ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმების ოქმი.

სალონიკი. სულთნის ირადეს (ბძანების) ძალით ჯარში მოიწვიეს მეორე ადრიანოპოლისა და მესამე მაკედონიის კორპუსების სათადარიგო ჯარისკაცების ნაწილი. ეს ჯარი გაიგზავნება ალეპოსა და ადანაში.

ახალგაზდა ოსმალთა ცენტრალური კომიტეტი ძლიერ შეაწუხა სამხრეთ ალბანიიდან მოსულმა ამბებმა: იქ მტრულად უცქერიან კომიტეტს და მის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებიან. სტამბოლიდან გამოქცეული მრავალი ძველი ოსმალო და ლიბერალურ (ახრარების) პარტიის მომხრე მოვიდა ალბანიაში ადრიატიკის ზღვით; ესენი თავიანთ უმთავრეს ცენტრის დაარსებასაც აქ აპირებენ. ახრარების ერთ-ერთმა მეთაურმა იზმაილ-ქემალმა,—ბირატის დეპუტატმა და ვალონის მცხოვრებმა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სამხრეთ ალბანიაში, მრავალი აგენტი გაგზავნა ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ სამოქმედოდ. ამ აგიტაციამ უკვე მოიტანა ნაყოფი: ვალონში დაატუსაღეს ყველა ახალგაზდა ოსმალელი აფიცერი, ორი მოჰკლეს კიდეც, ჯარი ალბანელების მხარესაა; ადგილობრივი მთავრობა გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ეშინიათ, ვაი თუ ეს მოძრაობა გავრცელდესო. ჩრდილოეთ ალბანიაში დაიბარეს ალბანელი ჯარი, მაგრამ ეს ჯარი ორიოდე დღეს დარჩა იქ და ისევ უკან დაბრუნდა. საფუძველს მოკლებული არაა ის ხმა, რომ მთავრობა ჯარის გაგზავნას აპირებს ალბანიაში.

სტამბოლი. „იენი-გაზეტ“ი იუწყება, რომ სტამბოლის ვილაეთში დაიწყეს ქრისტიანების გაყვანა ჯარში. ჯერ-ჯერობით მიიღეს ჯარში 20 ბერძენი და 18 სომეხი.

გაზეთები იუწყებიან, რომ ხაკიმ რომელიც ეხლა ელჩადაა რომში, მიიღო იუსტიციის მინისტრის თანამდებობაო.

სტამბოლში სრული სიწყნარეა. საალყო წესები გაამსუბუქეს მით, რომ ხალხს ნება დართეს ღამის 11½ საათამდე დარჩეს ხოლმე ქუჩებში.

ხალხი, რომელსაც იარაღის ჩაბარება მოსთხოვეს, უხალისოდ ასრულებს ამ მოთხოვნას. ორი დღის განმავლობაში პოლიციას წარუდგინეს 273 რევოლვერი და 60 თოფი.

პარიზი. ფრანგული პრესა ურჩევს ახალგაზდა ოსმალებს, ბეჯითი ღონისძიება მიიღონ ქრისტიანთა დასაცველად, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება უცხოეთის სახელმწიფოები ჩაერივნენ ოსმალეთის საქმეებში.

ბერლინი. „ნ. დოიტშე“ სიხარულით ეგებება ხილმი-ფაშის დიდ ვეზირად დანიშვნას და იმედოვნებს, რომ ოსმალეთის მთავრობა თვ-თონ შესძლებს მცირე აზიაში წესიერების აღდგენასაო. გაზეთის აზრით, არავითარი საბუთი არ არის, რომ უცხოელები ჩაერივნენ ოსმალთა შინაურ საქმეებში. „კელნიშე ცაიტუნგ“-იც სწერს, საბაბი არ არის, რომ უცხოელები ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩაერივნენო.

სპარსეთი

ურმია. ზულდუზში ოსმალების დახმარებით 26 მარტს შესდგა კომიტეტი: კომიტეტში არიან: ორი ქურთი, ორი სპარსელი, ერთი სომეხი და ერთი ებრაელი.

სალმასიდან იუწყებიან: პიშნამაზმა მარტის უკანასკნელ რიცხვებში უომრად უკან დაიწია. იგი 15 ვერსით დაშორდა სალმასს. შემდეგ, როდესაც მშველელნი მიუვიდნენ, წინ გაილაშქრა, აიღო გზის აქეთ-იქით მდებარე სოფლები და ალყა შემოარტყა სოფელ სოსუჯს.

ქურთების ბეგმა შეკაკ-სიმკომ შეჰკრა გზა ხოისა და სალმასის შორის და თავს დაეცა სოფლებს სარნასა და პერას. პირველ სოფლიდან საქონელი დაირეკა, მეორე სოფელში მარჯვედ დაჰხვდნენ, და უკან დაახევინეს.

28 მარტს მთავრობის პარტიის მეთაური ხეიმატულ-ნიზამი მოულოდნელად თავის მამულში წავიდა. მან ურმიაში რამდენიმე დღე დაჰყო და ადგილობრივ რევოლიუციონერებს შეურიგდა.

31 მარტს ურმიაში მოვიდა რევოლიუციონერების მიერ დაყენებული სალმასის გუბერნატორი საიდულ-მემალიკი. ფიდაები დიდის ამბით დაუხვდნენ. საიდული შეუდგა სახელმწიფო გადასახადების მოკრეფას, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია. ურმია—სალმასის გზაზე მცველები დააყენეს. მცველებს ჯამაგირს გადასახადებიდან აძლევენ.

სამი კვირაა ურმია მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანას. ფოსტა და ტელეგრაფი მუშაობს მხოლოდ ხოისა და სალმასის შორის. წერილებს შიკრიკებს ატანენ, მაგრამ არავინ იცის, აღწევს თუ არა ეს ფოსტა დანიშნულებას. რუსეთის საკონსულოს ორი ფოსტა კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში დაბანაკდა. რევოლიუციონერები ხსნიან წერილებს; არ ერიდებიან არც უცხოელების წერილებს. ურმიასა, ხოისა და სალმასტში ვაჭრობა შეჩერდა; რუსის საქონლის ქარავნების მიმოსვლა შესწყდა. რუსის საქონლის ფასმა 30 პროცენტით აიწია. ყველგან უფულობაა ურმია-სალმას-ხოის გზაზე ჯულფამდე ძარცვა-გლეჯაა. სძარცვენ რუსის ქვეშევრდომ ვაჭრებს, რომელთა ხელშიაც ნახევარი ვაჭრობაა. რევოლიუციონერები ამაგრებენ ურმიას. ქურთებმა შეჰკრეს გზა ურმიისა და სოუჯბულახის შორის ურმიის მცხოვრებთა უმრავლესობა მტრულის თვალით უყურებს ფიდაებს. მაგრამ შიშით ხმა ვერ ამოუღიათ.

რუსის ჯარის ბანაკი (თავრიზთან). რუსის ჯარის ბანაკში ცვლილება არა მომხდარა-რა. მცხოვრებნი მტრულად არ ექცევიან რუსის ჯარს. ენჯუმენი და სათარ-ხანიც კარგად ექცევიან. სიძვირეა ყველაფრისა და ჯარს ბევრი ფული ეხარჯება. საოცრად ძვირია შეშა. თავრიზსა და ჯულფას შუა გზა თავისუფალია. ქარავნები დადიან

ბანაკში დიდის ამბით იდღესასწაულეს რუსის დედოფლის სახელწოდების დღე. გენერალ სნარსკის მიულოცეს თავრიზელმა კონსულებმა, საკონსულოების მოხელეებმა, რუსის კოლონიის წარმომადგენლებმა, ენჯუმენის მიერ დანიშნულმა თავრიზის ქალაქის უფროსმა, იჯალლა-ულ მულკმა, სომეხთა ეპარქიის უფროსმა, ვაჭართა მამასახლისმა, მოქალაქეებმა და სხვებმა. პარაკლისის შემდეგ ჯარმა საუზმე გაუმართა სტუმრებს. მოვიდა შაჰის ბრძანებით ეუნუდ-დოვლეს მიერ მისალოცად გამოგზავნილი, სპარსელ ყაზახების უფროსი, ემირ-ტუმან-მაჰედ ხანი ორის აფიცრით. მილოცვის შემდეგ ემირ-ტუმანმა და იჯალლა-ულ-მულკმა ერთმანეთს გადაჰკოცნეს. შემდეგ საუზმეზე დასხდნენ რუსის ელჩის გვერდით. ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას აძლევენ აქ: რუსების მიერ გამართულ დღესასწაულზე შერიგდა ორი მოწინააღმდეგე—ენჯუმენი და შაჰი. ამას გარდა როდესაც ემირ-ტუმანმა თავრიზზე გაიარა, მოქალაქეებს არაფერი სამტრო არ ეტყობოდათ, პირიქით თავრიზის პოლიციამ დიდი თავაზიანობა გამოიჩინა. საუზმეზე გენ. სნარსკიმ წარმოსთქვა სადღეგრძელოები: რუსის მეფისა, შაჰისა, სპარსეთის ხალხისა, და ჯარისა, ინგლისის მეფისა, ხალხისა და ჯარისა, ოსმალეთის სულთნის მაჰმედ მეხუთისა, ოსმალეთის ხალხისა და ჯარისა, შეერთებული შტატების და საფრანგეთის პრეზიდენტის, ხალხისა და ჯარისა, სომხის სამღვდელოებისა, რუსის თავრიზელ ვაჭრებისა და სხვებისა. დასასრულ გაიმართა ყაზახების ჯირითი.

ურმია. საიდულ-მემალიკმა 6 აპრილს დააპატიმრა მდიდარი მემამულე ნაზიუს-სალტანე. ნაზიუს-სალტანეს სეშმატულ-ნიმეამთან საიდუმლო წერილების მიწერა ბრალდება. სეშმატულ-ნიმეამის მამულს კონფისკაცია უყვეს.

სალმასი. 8 აპრილს ქურთების მეთაურმა სიმკომ ხოისა და სალმას შუა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა შესწყვიტა. მოვიდა ამბავი, სიმკო ოსმალეთის შთაგონებით მოქმედებს, რომ ადგილობრივი რევოლიუციონერები იძულებულნი გახდნენ დახმარება სთხოვონ ახალგაზრდა ოსმალებსაო.

ალმასაირი. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა შემოიარა სალმასის ოლქის მთელი სოფლები. მცხოვრებნი თითქმის სულ მთებს შეჰხიზნებიან; სოფლებში მუშაობა არ არის. მცხოვრებთა მიერ მიტოვებული ქონება ოლქის შუაგულ სოფლებში გადაიტანეს. მცხოვრებთა გაქცევის მიზეზი ის არის, რომ ელიან რახიმ-ხანის შვილის შუჯა-ულეშკარის თავდასხმას.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: 24 აპრილს რევოლიუციონერებმა ხოის მახლობლად სცემეს კაკანელებს.

ენჯუმენი და შაჰი მოლაპარაკებას განაგრძობენ.

ისპაჰანის რევოლიუციონერების მეთაურმა და რეშტის გუბერნატორმა თავრიზელ რევოლიუციონერებს შეატყობინეს, მოემზადეთ, რადგან შეიძლება საჭირო გახდეს თეირანზე გალაშქრებაო. რეშტის გუბერნატორისა და ისპაჰანის რევოლიუციონერების აზრით, შაჰის ბრძანება კონსტიტუციის აღდგენის შესახებ მათ მოქმედების დასახულ გეგმას არა სცვლის.

ტასუჯი. აქ მოვიდა და დაბინავდა რახიმ ხანის შვილი შუჯა-ულეშკერი. მთელი ქალაქი აკლებულია. სახლების მეტი წილი გადამწვარია. მთელი ხუთი ათასი მცხოვრები გაიქცა. შუჯა-ულეშკერმა მიითვისა სამანუფაქტურო საქონელი, 151,000 მანეთად ღირებული. საქონლის მეტი ნაწილი რუსეთის ქვეშევრდომებს ეკუთვნის.

ჩახრევანი. უმნიშვნელო ბრძოლის შემდეგ პიშნამაზმა სალმასისკენ დაიხია. მარანდის რაზმი მარანდაში დაბრუნდა. შუჯა-ულეშკერის რაზმი სალმასისკენ მიდის.

თეირანი. კაზვინის რევოლიუციონერების რიცხვი დღითი-დღე იზრდება. რევოლიუციონერები თეირანს უახლოვდებიან. კაზვინსა და რეშს შუა ტელეგრაფი გააფუჭეს. რევოლიუციონერების წინა სიმაგრეები კერჯამდის უწევს. ნახრუ თეირანში დაიბარეს.

ბერლინი. „ბერლინერ-ტაგებლატს“ სალონიკიდან ატყობინებენ: ახალ-გაზრდა ოსმალთა კომიტეტს, როგორც თვითონ უთქვამს 4 თვის წინად თავრიზში გაუგზავნია ოთხი დელეგატი, მათ შორის ორი აფიცერი. დელეგატებს თავრიზში ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის მსგავსი ორგანიზაცია უნდა შეექმნათ. სპარსელ რევოლიუციის მორალური გამარჯვება და ის, რომ რევოლიუციონერები მთავრობას აქამდის უწევენ წინააღმდეგობას, ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის მეკადინეობას უნდა მიეწეროსო.

სტამბოლი. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს. ურმიის დაჭერის შესახებ მინისტრმა განაცხადა: „ამის შესახებ გავრცელებულმა ხმებმა ჩემ ყურამდისაც მოაღწია. მე შევეკითხე თეირანში ჩვენ რწმუნებულს, მაგრამ მან არაფერი იცის. არც ვალის, არც ჯარის უფროსს მთავრობისთვის ჯერ-ჯერობით არაფერი შეუტყობინებია. მაგრამ თუ მცხოვრებლებმა დახმარება ითხოვეს, შეიძლება ჩვენმა ჯარმა ქალაქი დაიჭიროს. წინადაც ყოფილა, რომ მცხოვრებლებს საშველად მოემართათ ჩვენთვის. ჯერ ჯერობით ვერც დავამტკიცებ, ვერც უარვყოფ ამ ცნობას, რადგან არაფერი ვიცი ამის შესახებაო“.

თავრიზი. მარანდის გუბერნატორმა, რუსის ჯარის უფროსის მოთხოვნით დაიბრუნა ის ნივთები, რომელიც ყაჩაღებმა წაართვეს ყაზახებს და ურმიის ვიცე-კონსულის მწერალს.

თეირანი. კაზვინის მახლობლად კავკასიელმა რევოლიუციონერებმა მოჰკლეს მეჯლისის ყოფილი დეპუტატი ესახრულ-ჯულამა.

თავრიზი. 25 აპრილს სათარხანი რუსის ჯარის უფროსთან იყო.

რეშტის, კაზვინის და ისპაჰანის რევოლიუციონერების გამარჯვებამ გაამხნევა თავრიზის ის მცხოვრებნი, რომელნიც მშვიდობიანობისა და წესიერების მოწინააღმდეგენი არიან. გადაწყვეტილია შაჰის ახალი კონსტიტუცია უარჰყონ და მოითხოვონ წინანდელი მეჯლისი. იმ პირობით კი, რომ შემოღებულ იქმნეს ძირითადი კანონები. ეს კანონები უცხოელების კანონ-მდებლობიდან უნდა იქნეს შედგენილი. ფიდაები სარგებლობენ რუსის ჯარის კარგის მოქცევით (რადგან რუსის ჯარი არ ერევა სპარსეთის შინაურ საქმეებში) და იარაღის დაყრას არა ჰფიქრობენ. ენჯუმენის დაცალიერებულ კასსის შესავსებად ფიდაები მცხოვრებლებს ძალით ართმევენ ფულს. თავრიზში არ არის მთავრობის გუბერნატორი; იმისი მოსვლა ხელს შეუწყობდა წესიერების აღდგენას.

თეირანი. გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა სადულ-დოულე. ახალ ლიბერალურ კაბინეტში დაინიშნენ ფერმან-ფერმა და ნასრულ-მულკი. სახელმწიფო საბჭოში საარჩევნო კანონის შესამუშავებლად ლიბერალური წევრები დაინიშნენ.

საზღვარ-გარეთ.

კოპენჰაგენი. ხუთ მაისს გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

პარიზი. გაფიცვის მოლოდინში მთავრობა და ვაჭარ-მრეწველთა კლასი დიდს ფაცი-ფუცსა და მზადებაშია. ფოსტის შეჩერების ასაცილებლად მთავრობას აზრადა აქვს საფოსტო მტრედები დაიხმაროს, აგრეთვე ისარგებლოს ავტომობილებით, უმავთულო ტელეგრაფით და სხვათი, გაფიცულ ფოსტის მოხელეთა მაგიერ ჯარისკაცები ჩააყენონ. არც ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი არიან უმოქმედოთ. მთელს პარიზში მხნედ აკრავენ აფიშებს და სცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება, რომ მათი საქციელი სრულიად სამართლიანია. ისინი სცდილობენ საზოგადოებრივ აზრის წინაშე თავი გაიმართლონ. პოლიტიკურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ფოსტა-ტელეგრაფის კრიზისი სარჩულად დაედება დიდ საპარლამენტო კამათს საფრანგეთის საზოგადო პოლიტიკის შესახებ.

ბერლინი. ვოლფის სააგენტოს პეკინიდან ატყობინებენ: დავა ხანკოუ-კანტონის რკინის გზის აგების შესახებ განზრახულია ასე გადასწყვიტონ: სესხი აღებული იქნება მეორე ხანკოუ-ჩენდუს დანადგზედაც, ამასთან სესხის თანხა 65 მილიონ მანეთით იქნება გადიდებული. განზრახვაა მასალის შეძენისა და მთავარ ინჟინერის დანიშვნის საქმეში უპირატესობა მისცენ ინგლისს-საფრანგეთის ჯგუფს. ამ საფუძველზე მოლაპარაკებაა გამართული.

ბუენოს-აირეს (სამხრეთ-ამერიკა). ქუჩაში ყუმბარამ იფეთქა. მძიმედ დაშავდა პოლიციის მოხელე და ახალგაზდა ქალი.

ბუტროპი. (ვესტფალია). 24 აპრილიდან ცეცხლი უკიდია ტყეს დორსტენსა და შერნბეკს შუა. ცეცხლის ალითაა მოცული თითქმის 2000 მარგი. განსაცდელი მოელის 30 000 მორგს. ცეცხლში დიდძალი ნადირი დაიწვა. ახლო-მახლო ადგილების მცხოვრებნი დიდ მეუპათობას იჩენენ ცეცხლის ჩაქრობაში.

ბერლინი. პრუსიის ფინანსთა მინისტრმა საბაჟო ოლქების უფროსებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომლითაც საბაჟოების სამართველოების მოხელეებს აუწყებს, რაც შეიძლება დიდი წინდახედულობა გამოიჩინონ იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც შეეხება ჯამაგირების საკითხს. მოხელეები ამ კანონ-პროექტს უკმაყოფილობით შეჰხვდნენ. მინისტრი სწერს, თუ შესაფერისი თავდაჭერილობა არ იქნება, მთავრობა უკმაყოფილოთა წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მიიღებსო.

პარიზი. ფოსტის მოხელეთა სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად ბარტუმ დაითხოვა 7 ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე.

ბერლინი. 24 აპრილს სადამოთი მოხდა მოხელეთა დიდი მანიფესტაცია. მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებდნენ ის მოხელენი, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ ზედაპალატის მიერ მოწონებულ მოხელეთა და მასწავლებელთა ჯამაგირების შესახებ კანონ-პროექტისა. მოხელენი ძლიერ აღელვებულნი იყვნენ. მანიფესტანტები სასტიკად ჰკიცხავდნენ ზემო პალატის საქციელს. ერთმა მოხელემ განაცხადა: „ჩვენს ზურგს უკან ძალაა და ამით კიდეც ვისარგებლებთო“. ეს სიტყვები ყველამ მოიწონა და აღტაცებით მიიღო.

რუსეთი

ტაშკენტი. სადგურ სირ-დარიის მიდამოებში, ხოჯენტის მაზრაში, თავის ნებით დასახლდა 194 ოჯახი. ეს უკანასკნელნი სხვა და სხვა გუბერნიებიდან არიან წამოსულნი.

კელნი. „ვოლფის ბიურო“ აცხადებს: საფრანგეთის გაზეთებში დაბეჭდილია პეტერბურგიდან გამოგზავნილი დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია, ვითომ რუსის დიპლომატიური წრეები ირწმუნებოდნენ, რომ რეაქციონურ ბიუროკრატიის გალაშქრება სტოლიპინის წინააღმდეგ გერმანიის დიპლომატიის ბრალი იყოს, სტოლიპინს გერმანიის მტრადა სთვლის და შიშობს, სტოლიპინის პრემიერად დარჩენა რუსეთის საბოლოოდ დააშორებს გერმანიის ინტერესებსაო. ამასთან დეპეშაში სწერია: ამ გალაშქრებამ ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან სათათბიროს უმრავლესობა მხნედ იცავს სტოლიპინს. ეს არის მიზეზი, ნათქვამია, აგრეთვე დეპეშაში, რომ გერმანიის დიპლომატია ურჩევს იმპერატორ ვილჰელმს, პეტერბურგში წავიდეს და ინახულოს რუსეთის იმპერატორი, სანამ ეს უკანასკნელი ხმელთა-შუა ზღვაში არ წასულა და წინანდელი მეგობრული კავშირი განამტკიცოს ამ ორ სახელმწიფოს შორისაო. ამის შესახებ „კელნიშე ცაიტუნგ“-ს ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ: დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ხმებს ნამდვილი დიპლომატიური წრეები არ ავრცელებენ. ისიც მართალია, რომ გერმანიას მიზეზი არ აქვს სტოლიპინის წინააღმდეგ გალაშქრებაში მონაწილეობა მიიღოს. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ იმპერატორი ვილჰელმი პეტერბურგში არ წავა. ამ ხმებს ყურადღებას არავინ მიაქცევდა, რომ საფრანგეთის ნახევრად ოფიციალური „ჰავასი“-ს სააგენტო არ ავრცელებდესო.

მოსკოვი. 26 აპრილს დილიდანვე გოგოლის ძეგლის კურთხევაზე დიდ ძალი ხალხი შეიკრიბა. იყვნენ გვირგვინებით სამეცნიერო, საქველ-მოქმედო, სამასწავლებლო და პოლიტიკურ ორგანიზაციათა დეპუტაციები; აგრეთვე დეპუტატები თეატრებისა, ლიტერატურულ საზოგადოებათა, სხვა და სხვა ქალაქებისა და ადგილისა, საზღვარ-გარეთისა და რუსეთისა უმაღლესს სასწავლებელთა, გალიციელ რუსთა, სერბთა, ბოლგარელთა და ჩეხთა და სხვათა. დილით მაცხოვრის ტაძარში გადაიხადეს წირვა. დაესწრნენ განათლების მინისტრის ამხანაგი, სათათბიროს თავმჯდომარე, დეპუტატები, უნივერსიტეტის რექტორი და სხვანი. შემდეგ პროცესია გაემართა იქ, სადაც ძეგლია. როცა ძეგლი გახსნეს, ხალხმა მოწიწებით ქუდები მოიხადა. სამღვდელოებამ აკურთხა ძეგლი. პირველი სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის ქალაქის თავის ამხანაგმა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა რუსულ სიტყვიერების საზოგადოების თავმჯდომარემ გრუზინსკიმ. დიდძალმა დეპუტაციამ შეამკო ძეგლი გვირგვინებით. გვირგვინების უმრავლესობა ვერცხლისა იყო. მოსკოვის „პატარა თეატრმა“ შეოქრულ გვირგვინით შემკო ძეგლი. ძეგლის კურთხევას აუარებელი მოსწავლე ახალგაზდობა დაესწრო როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებლიდან. გვირგვინებ შორის იყო ფინლანდიისა და სერბიის უნივერსიტეტებისაც. მთელი დღის განმავლობაში ხალხი არ მოშორებია ძეგლს და ერთი რიგი რომ მიდიოდა, მეორე მოდიოდა. ქალაქში მთელი დღე მუსიკა უკრავდა.

უნივერსიტეტის სადღესასწაულო სხდომაზე რექტორმა წინადადება შეიტანა, მიეგებნენ მოსკოვში მყოფ გოგოლის ნათესავებს და აგრეთვე იმის ნათლულს ხომიაკოვს. დამსწრეთ ოვაცია გაუმართეს ამათ. გარდა მინისტრის ამხანაგის გეორგიევსკისა და რექტორის მანუილოვისა, სიტყვები წარმოსთქვეს საზღვარ-გარეთისა და რუსეთის უნივერსიტეტების პროფესორებმა. სხვათა შორის ილაპარაკა მურომცევმაც, პირველ სათათბიროს თავმჯდომარემ. საღამოს პანაშვიდი გადაიხადეს გოგოლის სასაფლაოზე დანილევის მონასტერში. მოსკოვის თეატრებში დანიშნული იყო წარმოდგენები: საიმპერატორო დიდს თეატრში—„მაისის საღამო“, პატარაში „რევიზორი“.

იჟევსკის ზავოდი. დილის 9 საათზედ ქარხნების უფროსის თანაშემწეს ვასილიევს, სამსახურში მიმავალს, ხიდზე თავს დაეცა ბოროტვამზრახველი, მოჰკლა იგი ცულით და თითონ წყალში გადავარდა. ბოროტმოქმედი გამოიტანეს წყლიდან-მოაბრუნეს და დააპატიმრეს.

პეტერბურგი. საბუჯეტო კომისიამ მიიღო და მოიწონა კანონ-პროექტი, რომლის თანახმადაც ხაზინიდან 50,000 მან. რომელიც უნდა მიემატოს ქალაქისა და სოფლების სამღვდელოების ჯამაგირებს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ამ თანხიდან დარჩენილი ფული ხაზინასვე გადაეცეს.

ბალახნა. ვოლგაზე ქარიშხალია; ნაპირებიდან გადმოსულმა წყალმა დაბლობი ქუჩები წალეკა.

ეკატერინოსლავი. ოსტაშევას მამულში ოსტაშევკაში მოჰკლეს ნოქარი და მისი ცოლი და გაძარცვეს სახლი.

სარატოვი. კოზლოვკაში, პეტროვსკის მაზრაში, ცეცხლმა გაანადგურა 35 სახლი სხვა და სხვა შენობებითა და პურით. მიზეზი—ცეცხლის გაუფრთხილებლად მოხმარებაა.

მოგილიოვი. დღისით ხუთმა ბოროტმოქმედმა გაძარცვა გომელის მაზრის სოფ. ბორგის ფოლვარკის მოიჯარადრე. მოკლულია დარაჯი—ჩაჩანი.

ოსმალეთი

რეაქცია.—მაკედონიის ჯარის მიერ სტამბოლის აღება.—სულთნის ჩამოგდება.

(დასასრული *)

6 აპრილს ანატოლიაში მდგარმა მეოთხე კორპუსმაც შემოსთვალა, კონსტიტუციის აღსადგენად მოვდი-

---

*) იხ. „დროება“, N 91.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვართო, მაგრამ მთავარმა სარდალმა მაჰმუდ-შევკეთ-ფაშამ შეუთვალა, ჩვენ იმედი გვაქვს, ორი კორპუსითაც გავაკეთოთ საქმე, ამიტომ ნუ დაიძვრებით და ანატოლიაში გამოქცეული რეაქციონერები დაატუსაღეთო.

წინა დღეს, 5 აპრილს, კვირას, პარლამენტის საგანგებო კრება მოხდა. ითათბირეს იმაზე, თუ როგორ დაემშვიდებინათ მომავალი ჯარი. შუა კამათის დროს ახალგაზდა დეპუტატი მაზლიარ-ეფენდი ტრიბუნაზე ავიდა და მხილება დაუწყო დეპუტატებს მშიშრობისა და ორგულობისათვის. ეს სიტყვა ახასიათებს პრესსის, მთავრობის და პარლამენტის ქცევას 31 მარტის შემდეგ და ამიტომ მომყავს იგი:

„მთავრობამ,—დაიწყო მან,—ერი მოატყუა, კონსტიტუცია არ დარღვეულაო, როდესაც იგი დარღვეულია; პარლამენტის პრეზიდენტი თითონ გადადგაო, როდესაც იგი აიძულეს გადამდგარიყო. მთელმა პრესამ თავის მოვალეობას უღალატა. 31 მარტის შემდეგ მან კილო შეიცვალა. არც ერთ ჟურნალს არ გაუბედნია, სიმართლე ეთქვა, არც ერთს არ გამოუცხადებია მწუხარება „შურაი უმეტის“ დანგრევის გამო. პარლამენტიც აგრეთვე იძულებული გახდა ქვეყანა მოეტყუებინა: მან გამოაცხადა, რომ კაბინეტის გამოცვლა კონსტიტუციის ფორმებში მოხდა, თუმცა ეს სიმართლეს ეწინააღმდეგება... ერთი დეპუტატი მოჰკლეს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ვერ გავბედეთ... რომელმა თქვენგანმა გაჰბედა ტრიბუნაზე გასვლა და ამაზე ლაპარაკი? მე მინდოდა, მაგრამ სიტყვა გამაწყვეტინეთ. ვერავინ თქვენგანმა ვერ გაჰბედა ეს ექმნა და იმავე დროს კი ყველა თქვენგანი ირწმუნებოდით, თავისუფლებას ჩვენის სისხლით დავიცავთ“...

რეაქციონერები აყაყანდნენ, პროგრესისტებმა მხარი დაუჭირეს ორატორს და პარლამენტში მთელი ქარიშხალი დატრიალდა. ამის შემდეგ დეპუტატებმა ენა ამოიდგეს, გული მოიცეს და აშკარად წამოსულ ჯარის მხარეს გადვიდნენ, თუმცა მათთვის განსაცდელი კიდევ არსებობდა, რადგან ბატონ-პატრონი ქალაქში ჯერ ისევ რეაქციონერები იყვნენ და დაღუპვის მოლოდინში ყოველ სისაძაგლეს ჩაიდენდნენ.

21 აპრილიდან პარლამენტის სხდომები სან-სტეფანოში გადიტანეს „თავისუფლების ჯარის“ მფარველობის ქვეშ. სხდომები იახტ-კლუბში ხდებოდა სტამბოლიდან გაქცეულ ახმედ-რიზას თავჯდომარეობით. მალე სან-სტეფანოშივე გადაიტანეს სენატი, რომელიც პარლამენტს შეუერთდა და იმასთან ერთად ნაციონალური კრება შეადგინა. ამ სხდომების საგანი საიდუმლოებით იყო მოცული. ამ სხდომებზე გადასწყდა სულთნის ჩამოგდება.

„თავისუფლების ჯარი“ რამდენიმე დღე სტამბულის მახლობლად იდგა. 21 აპრილს ქალაქში გამოაქვეყნეს მთავარ-სარდლის ორი პროკლამაცია. ერთი ხალხს არწმუნებდა, რომ განსაცდელი არაფერი მოგელისო, მხოლოდ სთხოვდა, მშვიდობიანობა არ დაარღვიოთო. მეორეში იგი მიმართავდა სტამბოლის გარნიზონს. უხსნიდა, რა უბედურება მოელის ოსმალეთს უკონსტიტუციოდ, როგორ სურთ ხალხის მტრებს შარიათის სახელით თავისუფლების დასაფლავება თავიანთ პირად ინტერესების სასარგებლოდ. შემდეგ აცნობებდა, რომ თავისუფლების სახსნელად მოდის მესამე და მეორე კორპუსი და მოსთხოვდა დამორჩილებას ორის პირობით: 1. შეიხ-ულ-ისლამისა და ჯარის უფროსების თანადასწრებით ყორანზე დაეფიცნათ, რომ მორჩილნი და კონსტიტუციის ერთგულნი იქნებიან და 2. დაესახელებინათ ყველა ჯაშუში და ხოჯა, რომელთაც ჯარისკაცნი შეცდომაში შეიყვანეს.

პატარა ყოყმანის შემდეგ მთელმა ჯარმა დაიფიცა. სამხარი გემები სან-სტეფანოში წავიდნენ, ნაციონალურ კრებას მიესალმნენ და იქვე გაჩერდნენ. ყველა დარწმუნებული იყო, საქმე მშვიდობიანად გათავდებოდა. მაგრამ ზოგიერთ ყაზარმაში ასე უცბად თანხმობის გამოცხადება რეაქციონერთა ხერხი ყოფილიყო. ფიქრობდნენ, „თავისუფლების ჯარი“ შეცდომაში შევა და ქალაქში მოუმზადებლად შემოვაო. უნდოდათ ესარგებლნათ ამით, რომ ეს ჯარი მთლად ამოეჟლიტათ. მაგრამ აქაც მოსტყუვდნენ. სულთანმა შეტაკების წინა დღეს მეორედ დაურიგა თავის მომხრე ჯარს ფული. ბოლოს თითეულ ჯარისკაცს 15 ლირამდე აღმოაჩნდა. ერთმა აფიცერმა იხუმრა, „ჯერ ჩემ ჯიბეს 5 ლირა ერთად არ ღირსებია და თქვენ ვინ მოგცათ ამდენი ფულიო“? — „სულთანმაო“, უპასუხეს დამძარებულმა ჯარის-კაცებმა.

10 აპრილს სალამოთი თავისუფლების ჯარმა სრულის სამხედრო წესით გამოსწია ქალაქისაკენ.

11 აპრილს, ჯერ კიდევ დილის 6 საათი არ იქნებოდა, რომ სახლის პატრონმა გამომაღვიძა და ძალზე გაფითრებულმა მითხრა, „დაიწყოო“. ისმოდა თოფის განუწყვეტელი სროლა. დრო-გამოშვებით ზარბაზნები გრიალებდნენ. ტყვიის-მფრქვეველებს საზარელი ჰახა-ჰუხი გაჰქონდათ. ტანთ ჩავიცვი და კარში გავვარდი. ქუჩებზე ადამიანის ჭაჭანება არ იყო. სახლების ფანჯრები ყრუდ დახურულნი გამოიყურებოდნენ. აქა-იქ დაკარგული ტყვიები უსტვენდნენ. ზოგ ადგილას შემთხვევით მოკლული გამვლელნი გაშოტილიყვნენ. ცნობის-მოყვარეობამ იმდენად გამიტაცა, რომ განსაცდელი აღარ მომაგონდა. სული 5 წუთის შემდეგ „თავისუფლების ჯარის“ არტილერიის პოზიციაში ამოვყავ თავი და ჩემ თვალწინ გადაიშალა საუცხოო სურათი. „თავისუფლებას ჯარს“ მარსის ველის მაღლობები ხელში ჩაეგდო და ტაქსიმის უზარმაზარ ყაზარმებს ესროდა. ბრძოლა ბევრ ადგილას იყო, გაღმა-გამოღმა და ყველგან არტილერიამ გადასწყვიტა საქმე. 12 საათზე სროლა ყველგან შესწყდა, ყაზარმები ნანგრევებს წარმოადგენდნენ, სულთნის მომხრე ჯარმა იარაღი დაჰყარა და „თავისუფლების ჯარს“ ჩაჰბარდა. ორივე მხრიდან 2000 კაცზე მეტია მოკლული და დაჭრილიო, ამბობენ. დანარჩენ ყაზარმებში წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ.

ამავე დღეს ყოველ მხრიდან ჯარი შემოერტყა სულთნის სასახლეს. ალყა სამ დღეს გაგრძელდა. მოწყვეტილი იყო წყალი და გზა. სამი დღე სასახლე სიბნელით იყო მოცული. „ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, ამბობდნენ გაზეთები, სულთანს კბილების მოსატყუებელი ერთი ლუკმაც აღარ მოეძევებოდაო“. ის იმდენად ყოფილა დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, რომ ერთი კვირის საგძალიც არ შეუტანია სასახლეში, სადაც ჯარს გარდა, 4000 ქალი და კაცი იყო.

27 აპრილს სულთანმა შუა-კაცი გაჰგზავნა მაჰმუდ შევქეთ-ფაშასთან დანებების პირობების დასადებად. მთავარ-სარდალმა უპირობოთ მოსთხოვა დამორჩილება, რაზედაც სულთანი ცოტა ხანს შემდეგ თანახმა გახდა.

ასე დასრულდა „წითელ სულთნის“ მეფობა. მას სისხლით გაუმაძღრობაში, ამბობენ გაზეთები, ვერც კალიგულა და ვერც ნერონი ვერ შეედრებოდაო.

ეს ორი დღეა მთელი ხალხი აღტაცებით დღესასწაულობს იმის თავიდან მოშორებას. ტახტზე ავიდა მისი ძმა რეშედი, რომელიც მაჰმუდ მეხუთედ არის გამოცხადებული.

ჯარი ჯერ კიდევ არ ისვენებს, საალყო წესებია გამოცხადებული, რომ უფრო გაადვილდეს რეაქციონერთა დაჭერა. დიდძალი ხოჯა და რეაქციონერი ჩაიგდეს ხელში. შეიპყრეს ყველა მათი ბელადი. დაჭერილნი სამხედრო სასამართლოს გადასცეს, რომელიც უკვე შეუდგა მათ დასჯას. იარაღ აყრილ სულთნის მომხრე ჯარი სტამბოლიდან იგზავნება გაფანტულად. კონსტიტუციონური ჯარი აქ დარჩება.

დღეს სრული სიწყნარეა ქალაქში და ამ სიწყნარეს ველარაფერი დაარღვევს. ყველა დარწმუნებულია, რომ ამიერიდან ოსმალეთის კულტურული განვითარება უზრუნველყოფილია.

გადახვეწილი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ტფილისი

◆ **სეირნობა და ლატარია-ალეგრი.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობას მრავალი შემოწირულება მოსდის ლატარია-ალეგრისთვის. სეირნობა გაიმართება კვირას, 3 მაისს. 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე ბავშვების გასართობები იქნება, ხოლო სალამოთი 4 საათიდან გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია. ლატარიაში მრავალ ნივთებს გარდა ჩაგდებული იქნება საგარაკო მიწა ზომით 300 ოთხ.-კ. საჟენი (სუმბათოვოში), ძვირფასი ნივთები, ძროხა და სხვა. ყველა ბილეთი მომგებიანი იქნება.

◆ **დაპატიმრება.** 25 აპრილს გაჩხრეკის დროს მიხეილის ქუჩაზე დააპატიმრეს 12, ელისაბედისა და ტატიანეს ქუჩებზე 15 და მე-9 საპოლიციო უბანში 21 კაცი, რომელთაც პასპორტები არ აღმოაჩნდათ.

◆ **სომეხთა კათალიკოსის ჩამოსვლა.** პეტ. სააგენტოს სიტყვით, სრულიად სომეხთა კათალიკოსი იზმირლიანი სტამბოლიდან პეტერბურგს მაისის დამლევს წავა.

◆ **შუამდგომლობა.** „კასპი“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატის რამიშვილის შვილები სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სთხოვენ, იშუამდგომლოს, რომ რამიშვილი ტურუხანში არ გაჰგზავნონ და ნება მისცენ საზღვარ-გარედ წავიდეს. რამიშვილი ავად არის. მისი ცოლშვილი გაჭირვებას განიცდის.

◆ **უმუშევრები.** „კასპის“ სიტყვით, ამ წლის პირველ იანვრიდან აქამდის ბაქოს გრადონაჩალნიკის კანცელარიიდან სამშობლოში წასასვლელად 3,000 უმუშევრისათვის მიუცია უფასო ბილეთი.

◆ **ზარალი წყლისაგან.** მუღანში დასახლებულ რუს სოფლელთა ნათესი ადიდებულ წყალს გაუფუჭებია. არაქსიდან გაყვანილ არხს სათავე გაჰფუჭებია, წყალი გადასულა და რამდენიმე დღე სოფლებს შორის მიმოსვლა შეწყვეტილა. გადმოსახლებულთა მდგომარეობის გასაცნობად მუღანში მიემგზავრება კავკ. ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

◆ **სემინარიის ახალი შენობა.** როგორც ვწერდით, რუსეთის საპატიმროების მთავარ გამგეობას სურვილი გამოუთქვამს შეიძინოს ვერაზე სინოდის მიერ სემინარიისთვის აგებული სახლი. ამ ჟამად აღნიშნულ უწყების წარმომადგენელსა და სინოდს შორის მოლაპარაკებაა ფასის შესახებ.

◆ **გოგოლის დღე.** 26 აპრილი, ნ. ვ. გოგოლის ძეგლის კურთხევის დღე (მოსკოვში), აღნიშნეს ტფ. სხვა და სხვა კულტურულმა დაწესებულებებმა და სასწავლებლებმა. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში სახალხო უნივერსიტეტის ინიციატორობით ქართულსა და სომხურს ენებზე წაკითხულ იქმნა ლექციები. ამავე დღეს სალიტერატურო დილა გაიმართა ტფ. სახაზინო თეატრში. მიიწვიეს მოსწავლენი. წარმოადგინეს „რევიზორის“ ორი მოქმედება. ერთმა მასწავლებელმა წაიკითხა რეფერატი და ხორომ შეასრულა კანტატა. ნაშუადღევის პირველ საათზე ალექსანდრეს ბაღში ნ. გოგოლის ძეგლთან შეიკრიბნენ ტფ. ქალაქის მოსწავლენი მასწავლებლებითურთ. იყვნენ აგრეთვე სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე, ტფ. ქალაქის გამგეობის წევრები, ხმოსნები და სხვანი. გადახდილ იქმნა პანაშვიდი. ძეგლი ცოცხალის ყვავილებით და დაფნის გვირგვინებით შეამკეს.

◆ **სომხური თეატრი.** სომხურ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას უკვე თათბირი ჰქონდა მომავალ სეზონის გამო. გამგეობამ დაადგინა, მოიწვიოს სომეხთა საუკეთესო არტისტები და შეუდგეს რეპერტუარის გაუმჯობესებას. დასი იმოქმედებს ტფილისსა და ბაქოში. სამ თვეს ტფილისში იქნება დასი, სამს—ბაქოში.

◆ **ვ. სულხანიშვილის დაკრძალვა.** კვირას, 26 აპრილს, დაკრძალეს გვამი ახლად გარდაცვლილ საადგილ-მამულო ბანკის დირექტორის, ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნის ვ. ა. სულხანიშვილისა. ცხედარი დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზე. ნაშუადღევის 3 საათზედ კუბო გვირგვინებით შეამკეს ქართულ-დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, წ.-კითხვის გამგეობამ, სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ და თანამოსამსახურეებმა, პატივისმცემლებმა და სხვებმა. დაკრძალვას ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ **აკაკის ფონდი.** წერა.-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მიიღო გორში აკაკის ფონდისათვის შეგროვილი 150 მ. და 10 კაპ. გორელთა მეცადინეობით შეგროვდა 240 მანეთი და 70 კაპ. ამ ფულიდან 99 მ. 60 კ. დაიხარჯა დეპუტაციის გაგზავნასა და აკაკისათვის საჩუქრების ყიდვაზე.

◆ **ოთხი კომლის გადაწვა.** სოფ. ოსიაურიდან (ქართლი) გვწერენ: სოფ. ოსიაურში 24 აპრილს ღამე უბედურობა დატრიალდა: გაუფთხილებლობით ოთხი კომლი გადაიწვა. დაიწვა სამი სახლი და ერთი საბძელი.

◆ **საიდუმლო ქარხანა.** 25 აპრილს პოლიციის მეათე უბანში, მილიუტინის ქუჩაზე, მე-2 გილდის ვაჭრის მელვინოვის ბინაზე აღმოაჩინა მაგარ სასმელების დასამზადებელი საიდუმლო ქარხანა. ამზადებდნენ თურმე ლიკიორს, კონიაკს და სხვას. „ძმ. სოგომონვებისა, ამხ. ამირისა“, და „სარაჯიშვილის“ ეტიკეტებით. სამზარეულოს მეზობლად ორს ოთახში გაჩხრეკის დროს პოლიციამ აღმოაჩინა სასმელების დასამზადებელი მანქანები, 83 ბოთლი კონიაკი და სხვა.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია შეადგინოს ბიურო, რომელმაც ქალაქში თვალყური ადევნოს ცუდი ყოფა-ქცევის ქალებს. ქუთ. ქალაქ. გამგეობა ატყობინებს ამ ამბავს ტფილისის გამგეობას და სთხოვს, გაუგზავნოს ცნობები, თუ როგორ არის მოწყობილი ტფილისში ეს საქმე.

◆ 22 აპრილს ზარბაშის ქუჩაზე პოლიციამ შეიპყრო ოსმალეთის ქვეშევრდომი არტაშეს ადამიანცი, რომელსაც ბრალდება, 22 აპრილს სპარსეთის ქვეშევრდომის ვარსენიკ გრიგორიანცის დახრჩობაში მონაწილეობის მიღება. ადამიანცი გამოტყდა.

◆ გუბერნატორმა მისწერა ტფ. ქალაქის გამგეობას, შეაჩეროს ქალაქის საბჭოს დადგენილება, გამგეობის მდივნის თ. იზ. ბეკისათვის ერთ დროულად შემწეობის აღმოჩენის შესახებ. ბეკი სამსახურიდან გავიდა ამ ერთი თვის წინად. გამგეობის წინადადებით საბჭომ 900 მან. დაუნიშნა ბეკს.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ზომიერი და უკიდურესი ლერწამი

(ვუძღვნი გაზ. „ივერიას“)

ბუნების კალთაში, სხვათა შორის, ერთგვარი მცენარე ხარობს, რომელსაც სახელად ლერწამი ჰქვია. ისეთი მცენარე გახლავთ, რომელსაც ბუნებისა და აღზრდა-განათლების მოთხებით კოჭების სისუსტე მოსდგამს, და საითკენაც ქარი უბერავს, იქით გადიხრება ხოლმე. ლერწამი ტან-წერწეტი და მოხდენილი მცენარეა, ბუნების სალონში გამოზრდილი არისტოკრატი. იქაც, როგორც კაცთა შორის, არისტოკრატიული აღზრდა ჰნიშნავს წერწეტ ტანის სულ უფრო და უფრო გარბილება-გაწერწეტებას, რათა ამ ტანის მქონემ შესძლოს ყოველ-მხრით, მარჯვნით და მარცხნით, მოხდენილი ზნექა, შნოიანის სალამის ძლევა.

ლერწამის აღზრდა-განათლებას საფუძვლად დაედო მშვენიერების ტრფიალება. როცა ცა გრგვინავს, ელვა სამყაროს ჰკვეთს, დედა-მიწას გრიგალი მუსრს ავლებს, ამ მრისხანე მშვენიერების შემყურე ლერწამი, ფეხ-ქვეშ ეცემა სტიქიურ საშინელებას. ამ თავმდაბალ თაყვანების შეძლება შესძინა ტან-წერწეტა ლერწამს სწორედ ამ რბილ არისტოკრატიულმა აღზრდა-განათლებამ, რომელიც ყველაზე უფრო კოჭებში უჯდება ამ მცენარეს, სხეულის ამ საფუძველს ურბილებს და დროის შესაფერ ზნექას ასწავლის.

როცა უკიდურესი გრიგალი ჰქრის, ლერწამი უკიდურესად იზნიქება, როცა ზომიერი ნიავი ჰბერავს, იგი ზომიერად ირხევა.

ლერწამს ტყუილად კი არ უჭირავს ასე მაღლა თავი მშვიდობიანობის დროს: იგი იმას უცქერის, თუ რა განწყობილებაა უმაღლეს სფერებში, და ამ განწყობილების გამოჩენისათანავე, უკვე იმისი მონა მორჩილია.

ლერწამი თითქო იმ პაწია მოხელეთა დეპარტამენტში გამოიზარდა, რომელიც ასე მკვეთრად აგვიწერა სალტიკოვ-შჩედრინმა.

„ჩინოვნიკებს“ შორის საუბარი იყო გამართული იმის შესახებ, თუ რანაირი აღზრდა-განათლებაა საჭირო და სასარგებლო ხალხისათვის. დიდ ხანს იკამათეს პაწია მოხელეებმა და ბოლოს გადასწყვიტეს მაღლა აიხედონ, უმაღლეს სფერებს დაუკვირდნენ: თუ იქ კლასიკური მიმართულებაა, ეს იმის უეჭველი ნიშანია, რომ ხალხს კლასიკური აღზრდა-განათლება ესაჭიროება, თუ უმაღლესი მთავრობა რეალურ გზას იდგია, ესეც უეჭველად მოწმობს, რომ ხალხიც რეალურ აღზრდა-განათლების გზას უნდადაადგეს.“

ლერწამიც ხომ პაწია მოხელეა ბუნების დეპარტამენტში, იმასაც მეტი გზა არა აქვს, ბუნების კანონს სავსებით უნდა დაემორჩილოს.

ი. ნაკაშიძე.

ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

გორი. კაცი ვერ წარმოიდგენს იმას, რაც გორში მოხდა. 23 აპრილს, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე, ხაზინის დარაჯს გაუგონია მიწიდან რაღაც კაკუნი. სამჯერ დაკაკუნების შემდეგ ეჭვი შეჰპარვია დარაჯს და უცნობებია პოლიციისთვის. სწრაფად გაჩნდა ჯარი, პოლიცია და გულიშამბაროვის სახლიდან აღმოაჩინეს ხვრელი. მაგ სახლში აღმოჩნდა ოთხი კაცი და ერთი ქალი.. ესენი თურმე სადილობდნენ. ვინაობა და გვარები ვერ გაიგეს ჯერ-ჯერობით. ხვრელი, როგორც გადმოგვცეს მნახველებმა, ასე თურმე მოწყობილი: მარტში დაუქირავებიათ გულიშამბაროვის სახლი, სამზარეულოში ამოუჭრიათ იატაკი და ქვეშიდან დაუწყიათ თხრა. მიწა ერთ ოთახში უგროვებიათ, ხვრელი გაუყვანიათ პირდაპირ. ერთ ადგას წყალი ამოსვლიათ. მაგრამ „ნასოსებით“ გამოუტანიათ. ხაზინის საძირკველი არ გაუნგრევიათ, ქვეშიდან გასულან და როდესაც შესულან ხაზინის ქვეშ, ცოტა მაღლა აუწევიათ და იქვე მარცხნივ მოუგანიერებიათ ადგილი, ასე რომ სამი კაცი თავისუფლად მოტრიალდება. გამოჩენილა ხაზინის იატაკი. აი სწორედ ამ დროს გაუგია კაკუნი მაღლა მდგომ დარაჯს. ჰაერისთვის მთხრელებს ჰქონიათ რეზინის მილი.

მიწის საზიდავად გაუბავთ თოკი, აქეთ-იქით ნაპირებზე ტომრები დაუკიდიათ და ზედ ზარები მოუბავთ. როდესაც ერთი ტომარა გაივსებოდა თურმე, ზარს დარეკდნენ შიგნიდან. გარედან გასწევდნენ—სავსე ტომარა გამოდიოდა და ცარიელი შედიოდა. ნახეს აგრეთვე [illegible] ჭრელი მანქანები [illegible] დამუშავები [illegible] და [illegible].

როგორც გადმოგვცეს მნახველებმა, ფოლადის მჭრელი მაშინა ისე სჭრის თურმე, რომ ხმას არ იღებს. სამზარეულოდან კედელი გაუხვრეტიათ და აქიდან თვალი უდევნებიათ ხაზინისათვის. სახლი ხაზინის პირდაპირაა, 20 საჟენზე. ხვრელი თურმე საუცხოოდ არის გაყვანილი. დახრილი კაცი თავისუფლად გაივლის. ბოძები დაუსვამთ შიგ და მაღლა ფიცრები გაულაგებიათ, რომ მიწა არ ჩამონგრეულიყო. ძირს ნაბდები გაუშლიათ ალბად იმიტომ, რომ მუხლები არა სტკენოდათ. დაჭერას თურმე მეტად მშვიდათ და წყნარად შეჰხვედრიან და არაფერი აღუდგვება არ შესტყობიათ.

აბდულ-ხანი.

Ა Ვ Ლ Ა Ბ Ა Რ Ი

(ძველად ისანი)

„დრონი მეფობენ და არა მეფენიო“, გამოუთქვამს ჩვენი ხალხის გენიას. იყო დრო, როდესაც, აწინდელი ავლაბარიც, როგორც გონების და პოლიტიკის ცენტრი, ჰლოტბრობდა არა თუ ტფილისს. არამედ ატრიალებდა მთელ საქართველოს ბედის ჩარხს იქ, სადაც დღეს მეტეხის ციხეა და მონასტერი დარიისა, იყო მეფის სასახლე და უბანი დიდ-კაცობისა. ეხლა ავლაბარი დაწუნებული და აბუჩი უბანია ტფილისისა. წაჰრთმევია კოხტა სახელი „ისანი“ და გადანათლულა უშნო ავლაბრად. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ იგია ბუდე 10,000 მეტ მოქალაქისა, მჭიდროდ დასახლებულთ ვიწრო და უგვან ქუჩებში. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ იგი ნაძალადევზე თითქმის დემოკრატიული კუნჭულია და თუ ჯერ თავი არ უჩენია, ეს შეგნების ნაკლის ბრალია.

ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ეს უშველებელი ნაწილი ტფილისისა დიდი საბიუჯეტო ძალაა ქალაქის თვით-მმართველობისა და იქმნებ ძალითა მისითა, რომ „მუქთა ლუკმა ყელზედ არ დაგვადგესო“, ავლაბარს მცირე ხანში ყურადღება მიაქციეს. სასწავლებლები დაუწესეს, პროგიმნაზიაც კი, რამდენიმე ქსენონი, ბრმათა თავშესაფარი... მხოლოდ მთავრობის დაწესებულებათათვის ჯერ უკადრისად ჰხდიან ავლაბარს და ეუბნებიან: „ყაზარმები და მათი კანცელარიანი ჩათვალეთ ამას ვარაუდშიო“!..

დიახ, ეს რაღაც არა-ჩვეულებრივია იმ ავლაბრისათვის, სადაც ამ რამდენიმე წლის წინად ვაჟებს ეკლესიებთან მქონე სკოლებში ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ქალებს ჟამგადასულ ქალებთან ლეჩაქების ბასმას, ქარგაზედ ქსოვას, ზონრების დამუშავებას, სნორაკის გრეხას... სადაც ექიმების ნაცვლად, სახელოვანი მკითხავები, ძველის ყაიდის ფერშლები და „ტირაცუები“ არჩენდნენ ხალხს, ეხლა ავლაბარს ინტელიგენციაც კი ჰყავს. ორი თეატრი, დიდებისათვის სკოლა, ბიბლიოთეკაც კი, რომელიც წ.-კ. საზოგადოებას დაუწესებია. ბიბლიოთეკის სილატაკე... თეატრების სულის ღაფვა, კულტურულ ღონების შეხმობას გიფუჩუნებს ყურში... დიდების სკოლა კი, ღვთით, კარგა ასრულებს თავის დანიშნულებას და პირდაპირ წყევა-კრულვაზედ გაყენებთ იმ ბატონებზედ, რომელთა მოვალეობაც არის ხალხი სინათლეში გამოიყვანონ... ავლაბარს ათობით საშუალო სასწავლებლები ეკუთვნის, რომ სიბნელეს ნათელმა სძლიოს...

წავიდა ის დრო, როდესაც მმართველნი ქვეყნისანი ნანინას მაგივრად მღეროდნენ: „ნუ სძლევს სიბნელეს ნათელიო“, როდესაც ავლაბრის ქუჩებში ყოველ ჟამსა და ხანსა ჰხედავ აუარებელ მოზარდს, რომელნიც, ნაცვლად სწავლისა და საქმისა სულით და გულით მისცემიან ქუჩურ უწესობას; როდესაც აქაურ მკვიდრის საშინელ ლექსიკონს ისმენ; როდე-

საც გესმის განუწყვეტელი ყიჟინა ქუჩაში უსაქმოდ გამოგუგუნებულ მანდილოსანთა, ან როდესაც უმზერ რიხიან უბედობას და უგვანო ტონის მანქიაობას ახალგაზდობისას, რომელსაც თავი ხეპრეობით მოაქვს. დიაღ, მხოლოდ სასწავლებლები და სინათლე ჩააყენებს კალაპოტში ამ შავ და საშინელ ძალას... ამას ავლაბარი ქალაქის ყველა ნაწილზედ უფრო სამართლიანად და თამამად ითხოვს!..

⁂

სურათის ცოტათი მაინც დასახასიათებლად, უნდა ავლაბრის დღევანდელი ეკონომიური კრიზისიც გაითვალისწინოთ.

გარემოებამ ავლაბარში ბევრი ოჯახი მომატარა ამ მცირე ხანში. მწარე სიღარიბე... საშინელი გაჭირება... სტირიან ოჯახის შემნახავთა მოკვლას, დაპატიმრებას... სტირიან უმუშაოდ დარჩომას, სტირიან საქმის უშოვრობას, სტირიან სიძვირეს, ქესატობას... მრავალი მუშა ხელი, ჯან-ღონით სავსე, წლობით და თვეობით უსაქმოდ დარჩენილა. გვხვდებიან ხუთ კლასიან პროფესიონალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი უსაქმოდ-ულუკმაპუროდ...

სადაც-კი საქმიანობას შევხვდი, იქაც ბევრი საგულისხმოა და დამაფიქრებელი. მთელი უბნები ჰქსოვენ ბუზმენტს. მასალა შუა კაცებს მოაქვთ, ამათვე მიაქვთ ნაწარმოები. ერთი ზომის ფირფიტაზე ნახევ ბუზმენტში ხელფასი 40 კ., ხოლო ამ ბუზმენტს ორი დღის მაოჯვე და ბეჯითი მუშაობა უნდა მანდილოსნისა. ასე რომ დღეში თუ 20 კ. იშოვა მძიმე შრომაში, ბედნიერია მანდილოსანი, რომელიც ამაზე პატივისცემასაც უწევს შუაკაცს..

ბევრგან ჰკერავენ ტომრებს, სალდათთა თეთრეულს და მძიმე შრომაში აქაც მანდილოსანი ვერ ადის 30 კაპიკზე ზევით. მამაკაცები ამზადებენ ქუდებისთვის კარდონის ფუტლიარებს, სახლში ჰკერავენ „კარტუზებს“, ტყავის ქუდებს, ქურქებს. მასალა პატრონებისაა და შრომაში იღებენ 60 კ. 80 კაპ. არა რაიმე კავრიში პროფესიონალური, ან კოოპერაციაზედ წარმოდგენა არა აქვთ ამ უშველებელ შრომის რაიონში..

⁂

კრიზისი ეტყობა ავლაბრის ბაზარს, მოედნებს და ვაჭრებს. არა რაიმე ვაჭრობა. მთელი დღე რამდენიმე მუშტარი. მამასისხლად გაყიდვა, რომ ამით მაინც აინაზღაურონ ნაკლი, მოტყუება... ატყუებენ სოფლიდან სანოვაგის ჩამომტანთ, რომ მათგან იაფად იყიდონ და ძვირად გაჰყიდონ. ამ უკანასკნელ ყაიდის ვაჭრობას დიდი მიმდევარი ჰყავს, რომ ასეთ უშრომლობით ლუკმა მაინც იშოვონ...

ზ. გულისაშვილი.

უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

აბდულ-ჰამიდის წაყვანა სალონიკში. აფიცერი, რომელიც სხვებთან ერთად აცილებდა აბდულ-ჰამიდს, ამბობს, რომ მისი მატარებელი სულ 20 საათს მოუნდა სტამბოლიდან სალონიკში მისვლასო. მატარებელი სადგურებზე არსად გაუჩერებიათ. მხოლოდ რამდენჯერმე შედგა იგი გზაში წყლისა და ქვა-ნახშირისთვის. აბდულ-ჰამიდი გზაში მეტად დაღონებული და დაღვრემილი იყო. იგი არასა-სჭამდა, არ იძინებდა და გულხელდაკრეფილი იჯდა გარინდებული, მისი ცოლებიც საცოდავად გამოიყურებოდნენ. მარტო ერთხელ ამოიღო ხმა აბდულ-ჰამიდმა. მან იკითხა: სად მიგვყავართო.—სალონიკშიო, უპასუხეს. მან წამოიძახა: „იქ მომკლავენო“! როცა ჰამიდი ალტინის ვილაზე მიიყვანეს, მაშინვე სადილი მოუტანეს სასტუმროდან.

გერმანელ გენერლის აზრი ახალგაზდა ოსმალებზე.

ცნობილი გერმანელი გენერალი, ოსმალეთის ჯარის ინსტრუქტორად ნამყოფი გოლცა სწერს გერმანულ გაზეთებში რომ ახალგაზდა ოსმალებმა მარჯვედ დათრგუნეს კონტრ-რევოლიუცა და ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი მძიმე საქმეო. ვინც ახალგაზდა ოსმალთა მეთაურებს იცნობს, იმან იცის, რომ მათზე უფრო მარჯვე და უფრო შესაფერის კაცების შოვნა შეუძლებელიაო. გენერალი ჩამოსთვლის ყველა იმ სიძნელესა და იმ დაბრკოლებას, რომელიც კიდევ წინ უდევთ ახალგაზდა ოსმალებს, და დასძენს, რომ ისინი მოახერხებენ ამ დაბრკოლებათა დაძლევას და ამიტომ ევროპა სრულის ნდობით უნდა უცქეროდეს მათაო.

აბდულ-ჰამიდს ფულის დაბრუნება მოსთხოვეს.

ახალგაზდა ოსმალებმა მოსთხოვეს აბდულ-ჰამიდს, რომ მან ოტომანის ბანკს გადასცეს მთელი თავისი ფული, 300 მილიონზე მეტი, რომელიც ინახება ლონდონისა და პარიზის ბანკებში.

აბდულ-ჰამიდი ქალ. მონასტირში გადაჰყავთ.

ხმა დადის, რომ აბდულ-ჰამიდს ქალ. ბიტოლში (ქალ. მონასტირის მეორე სახელია) გადაიყვანენ, რადგან მის მომხრეებს უნდოდათ ზღვით გაეპარებინათ სალონიკიდანო.

აგიტაცია აბდულ-ჰამიდის სასარგებლოდ.

დამასკოდან იუწყებიან, რომ იქაური საზოგადოება „ფირკე-მახმუდიე“, რომელსაც 40 ათასი წევრი ჰყავს ქალაქში და სხვა მრავალი პროვინციაში, ბეჯით აგიტაციას ეწევა, ოსმალეთის ტახტზე ისევ აბდულ-ჰამიდი ავიყვანეთო.

საჭურისტ-უხუცესის ჩვენება.

აბდულ-ჰამიდის საჭურისთ-უხუცესად ნამყოფი ნადირ-აღა განაგრძობს თავის საყურადღებო ჩვენებას და მრავალ საიდუმლო საქმეს ააშკარავებს. მან უკვე სრულად გამოააშკარავა, თუ 31 მარტს როგორ იყო მოწყობილი შეთქმულობა კონსტიტუციის წინააღმდეგ. („კ.“)

ილდიზ-კიოსკში გერმანიის იმპერატორის წერილები იპოვეს.

როგორც მოხსენებული გვქონდა, ილდიზ-კიოსკში იპოვეს აბდულ-ჰამიდის საიდუმლო მიწერ-მოწერა ევროპის ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს მეთაურთან. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ეს მეთაური არის გერმანიის იმპერატორი ვილჰელმიო.

გერმანიის ელჩი 25 აპრილს მოსულა დიდ ვეზირთან, ხილმი-ფაშასთან, და მოუთხოვნია, დაუყონებლივ გადაეცით გერმანიის საელჩოს ის წერილები იმპერატორ ვილჰელმისა აბდულ-ჰამიდთან, რომლებიც ილდიზ-კიოსკში იპოვესო. ხილმი-ფაშა მოელაპარაკა თურმე დანარჩენ მინისტრებს და უპასუხა ელჩსა, რომ მაგნაირი წერილები ჯერ არ გადმოუციათ ჩვენთვის და თუ როდისმე გადმოგვცეს, პირობას გაძლევთ, რომ ოსმალეთის მთავრობა არა დროს არ გამოაქვეყნებს იმათო.

ილდიზ-კიოსკის არქივის გაჩხრეკამ თურმე ძლიერ დააფიქრა დიპლომატიური წრეები, ნამეტნავად რუსეთისა. პეტერბურგელი დიპლომატები ჰფიქრობენ, იქ ზოგიერთი ისეთი დოკუმენტი ინახება, რომ იმათმა გამოქვეყნებამ შეიძლება დიპლომატიური ურთიერთობა გაამწვავოს და იქნება ხელახლად ასტეხოს შინაგანი არეულობაო.

სულთნის დისწულის დატუსაღება.

სულთნის დისწულს ახმედ-ფეხლის დაუმტკიცეს კონსტიტუციის ღალატი და დაატუსაღეს.

რეაქციონური მოძრაობა ანატოლიაში.

სტამბოლიდან გაქცეულმა 3 ათასმა რეაქციონერმა ჯარის-კაცმა თავი მოიყარა ანატოლიაში. ბევრი ადგილობრივი რეაქციონერიც მიემხრო მათა.

აბდულ-ჰამიდი სალონიკში.

ახალგაზდა ოსმალები შერჩევით აძლევენ გაზეთებს საკითხავად აბდულ-ჰამიდს, მის წერილებსაც ჯერ თითონ გაჰხსნიან და წაიკითხავენ ხოლმე.

რასა თხოულობს „ნოვოე ვრემია“.

რუსული გაზ. „ნოვოე ვრემია“ მოწინავე წერილში თხოულობს რუსეთისა და ევროპის დიპლომატიამ უნდა მოითხოვონ, რომ ოსმალეთმა ზარალი უნაზღაუროს ადანასა და საზოგადოდ მცირე აზიაში დაზარალებულ და აკლებულ ქრისტიანებსაო.

კონტრ-რევოლიუციის წინა დღეს.

ხილმი-ფაშას, რომელიც დიდ ვეზირად იყო კონტრ-რევოლიუციის წინად, უთქვამს გაზ. „ლა-თურქი“-ს თანამშრომლისთვის: „მე ვიცოდი, რომ დაბალი სამღვდელოება და უბრალო ხალხი აღელვებული იყო. კონტრ-რევოლიუციის სამის დღით წინ ვეთათბირე გავლენიან პოლიტიკოსებს და ჯარის უფროსებს და ვკითხე, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სტამბოლის ჯარი არ გადუდგება პარლამენტს, მეთქი. მათ მიპასუხეს, სრული იმედი გქონდეთო. მისაყვედურებენ, ვითომ საკმაო მხნეობა ვერ გამოვიჩინე და რიგიანი ღონისძიება ვერ მივიღე აჯანყებულ ჯარის წინააღმდეგო. მე რომ მისთვის სრულად დამეწყო, რეაქციონერები მაშინვე მთელს სტამბოლს აიკლებდნენ და უცხოელები უთუოდ ჩაერეოდნენ სტამბოლის საქმეებშიო.“

სპარსეთის ამბები

კონსულები და სათარ-ხანი.

რუსეთისა და ინგლისის კონსულებმა თავრიზში დიდხანს ითათბირეს. გენ. სნარსკის თანადასწრებით.

თათბირის შემდეგ კონსულებმა გამოუცხადეს სათარ-ხანს, რომ მისი ტაქტიკა ეწინააღმდეგება მისსავე წინანდელს პირობას. ერთის მხრით მეჯლისის შეკრებას თხოულობს, მეორეს მხრით თითონ ხელს უშლის ამ საქმეს მით, რომ თავის ერთგულ მომხრეებს პოზიციებიდან არ უშვებს. თუ რაიმე უთანხმოება და უსიამოვნება მოხდა თავრიზში, დანაშავედ სათარ-ხანს ჩასთვლიან კონსულებიო.

რუსის ჯარი კაზვინში მიდის.

გენ. სნარსკის რაზმის ნაწილი წავა ქალ. კაზვინში, რომელიც რევოლიუციონერებმა აიღეს ამ დღეებში, იქაურ ხალხის დასამშვიდებლად და უცხოელთა დასაცველად.

კაზვინში წავიდა აგრეთვე ყაზახების თანხლებით რუსეთის ვიცე-კონსული ქალ. რეშტიდან. იქვე, როგორც ისმის, ასტარიდან წავლენ პლასტუნი—ყაზახები. კაზვინში ითვლება 50 სახლობა უცხოელ ქვეშევრდომებისა.

კაზვინში.

რევოლიუციონერებმა კაზვინის პრეზიდენტად დანიშნეს რეშტის გუბერნატორი საპეხდარი. მან გამოსცა ბძანება, რომ დუქნები უნდა გაიღოს და ყველამ ისე ივაჭროს, როგორც ჩვეულებრივ დროსაო. რადგან ხმა გავრცელდა, რომ კაზვინზე გამოილაშქრა რეაქციონერების დიდმა რაზმმა ზარბაზნებითაო. ამიტომ სეპეხდარმა დაამშვიდა ხალხი ნურაფრისა ნუ გეშინიანთ, რადგან კაზვინის არსენალები სავსეა ყუმბარებითა და ვერავითარი ზარბაზნები ვერ გაუძლებენ მათაო... ვინც ცრუ ცნობებს გაავრცელებს პროვოკაციის მიზნით, სამართალში მიცემულ იქნებაო.

რეშტის ენჯუმენი არ ენდობა შაჰსა.

რეშტის ენჯუმენს ბძანება მოუვიდა შაჰისგან მეჯლისის დეპუტატების არჩევანს შეუდექითო, მაგრამ ენჯუმენმა არ შეასრულა ეს ბრძანება, რადგან მასში არაა აღნიშნული დრო, თუ როდის უნდა დაიწყოს არჩევანი და არაა გამოცხადებული მათი წარმოების წესი შაჰის მიერ პირველ მეჯლისისთვის დამტკიცებულ წესისამებრ, საპარლამენტო არჩევანი ყოველთვის განსაკუთრებულ მანიფესტის ძალით უნდა მოხდეს და ამ მანიფესტში ყოველთვის უნდა აღნიშნულ იყოს, თუ რა დროს და რანაირად უნდა მოხდეს არჩევანი. დღემდე-კი ამნაირი მანიფესტი არაა გამოცხადებული.

ახალი საარჩევნო წესი.

თუ რუსულ გაზეთებს დავუჯერებთ, ახალი კონსტიტუციის თანახმად დაწესებულია საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევანი მეჯლისის დეპუტატებისა და დეპუტატების რიცხვიც უფრო თანასწორედა და სამართლიანადაა განაწილებული საარჩევნო ოლქებს შორის.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა (ვ. გუნიას ბენეფისი). გვეგონა, გუნიას ბენეფისს ხალხი ბლომად დაესწრებოდა: ბილეთების ფასი დაკლებული იყო. ესეც რომ არა, საბუთი გვქონდა გვეფიქრა, რომ ჩვენი საზოგადოება შესაფერის ყურადღებით მოეპყრობოდა ისეთს მოღვაწეს, როგორიც არის ბ-ნი გუნია ქართულ თეატრისათვის. მაგრამ მოვსტყუვდით. ვერც იმან უშველა რამე საქმეს, რომ აფიშაში გამოცხადებული იყო „წარმოდგენილი იქნება ქართულად პირველად ახალი პიესა „ჩერჩეტი“-ო. „ქართულ“ საზოგადოებისათვის ეს პიესა ახალი არ არის. გვერდზე რუსული თეატრებია, სადაც ეს პიესა მგონი ოცჯერ წარმოადგინეს და არც ერთი ქართველი ინტელიგენტი არ დარჩებოდა, რომ რუსულად არ ენახა ეს პიესა...

თვით წარმოდგენას საერთოდ არა უშავდა რა. ზოგს ცოტა როლის უცოდინარობა უშლიდა ხელს. არ ვიცით როლების უცოდინარობას თუ არტისტების მიერ ქართული ენის უცოდინარობას უნდა მივაწეროთ, რომ ქართული ენა ასე სუსტობდა. ხანდახან მეტად შეუფერებელ სიტყვებს წამოისროდნენ ხოლმე. თვით მობენეფისე ურიგო არ იყო, მაგრამ რაღაც უგულობა ეტყობოდა. კარგები იყვნენ ტასო აბაშიძე, ს. კარგარეთელისა.

მობენეფისეს საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშით დაასაჩუქრა. საჩუქრებიც მიართვეს.

რუსეთი

◆ **გაზეთის დაკეტვა.** როგორც ვწერდით „ნაშა გაზეტას“ რედაქციას გადაწყვეტილი ჰქონდა გაზეთი დაეკეტა. „ნაშა გაზეტა“ უკვე დაიკეტა. კვირას 19 აპრილს გამოვიდა უკანასკნელი ნომერი.

◆ **ზომიერ მემარჯვენეთა პარტიის დამფუძნებელი კრება.** „რუს. ვედ.“ სიტყვით კვირას, 19 აპრილს მოხდარა ზომიერ-მემარჯვენეთა დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს დეპუტატ ბალაშოვს კრებაზე სიტყვა წარმოუთქვამს, სადაც აღუნიშნავს, რომ ზომიერ მემარჯვენეთა პარტიას დიდი მუშაობა დასჭირდება, საჭიროა, რომ ჩვენი აზრები გავავრცელოთ, საზოგადოებაში ვეძიოთ დახმარება, ურომლისოდაც სათათბიროში მუშაობა შეუძლებელიაო. ბალაშოვს აღუნიშნავს მრეწველების დაქვეითება და უთქვამს, რომ დახმარება ესაჭიროება სამშობლო მრეწველობასაო. „ნამეტანი ყურადღება კი, უთქვამს ბალაშოვს, გლეხებს უნდა მიაქციოთ, თუნდაც მიტომ რომ გლეხობა ყველა წოდებაზე მეტია. 9 ნოემბრის კანონის გამოცემით გლეხებს თავისუფალ შრომის ასპარეზი გაეხსნათ. ამ კანონით საზღვარი დაედო კლასთა გადაკიდებას, რომელსაც ზოგიერთები უფრო აღრმავებდნენ“. კრების ბოლოს კრებას აურჩევია პარტიის ცენტრალური კომიტეტი: თავმჯდომარედ დეპუტატი ბალაშოვი, თავმჯდომარის ამხანაგებად საზონოვი, გაიერი და ხვასტიანოვი, მდივნად პოტოცკი. პარტიის წინანდელ წევრებმა, ბალაშოვის წინადადებით, [illegible] შეუტანიათ და დაშლილან.

◆ **მინისტრთა კაბინეტი და სახელმწიფო სათათბირო.** რუსეთის გაზეთების სიტყვით სახღვაო შტაბის შტატების ბედს 25 აპრილს უნდა ველოდეთ. მოსალოდნელია, რომ შტატებს არ დაამტკიცებენ, რასაც კაბინეტის გადადგომა მოჰყვება. სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში დაჟინებით ლაპარაკობენ თურმე, რომ თუ კაბინეტი გადადგა, სათათბიროს იმწამსვე დაითხოვენ სახაფხულოდ და ახალი სესსის მოწვევა გამოურკვეველ დრომდის გადაიდებაო.

◆ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** „კავ.“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: პეტერბურგში გაძლიერებული ჩხრეკაა. უმთავრესად მუშებს და მოსწავლეებს სჩხრეკავენ. ხმა დადის, რომ ჩხრეკა 1 მაისს მოსალოდნელმა დღესასწაულმა გამოიწვიაო. ჩხრეკით დაატუსაღეს რამდენიმე მუშა და მოსწავლე. იპოვნეს რამდენიმე ფუთი საპირველ-მაისო პროკლამაციები.

◆ **გაზეთის აკრძალვა.** ოდესის გენერალ-გუბერნატორს, ჩვენში კარგად ცნობილ გენერალ ტოლმაჩევს ბრძანება გამოუცია, გაზეთი „რეჩი“ ქალაქ ოდესაში არ გაყიდოთო. როგორც ვიცით „რეჩის“ რედაქტორი ტოლმაჩევს ზარალს უჩივის. რა გამოვა აქედან ახლო მომავალი დაგვანახვებს.

◆ **ვიტტე და სტოლიპინი.** 16 აპრილს გრაფ ვიტტეს უნახავს პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი და სხვათა შორის, უთქვამს, რომ მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია მემარჯვენეთა ჩემს წინააღმდეგ გალაშქრებაშიო.

◆ **დეპუტატი კოლიუბაკინი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ კოლიუბაკინის საქმეს სათათბირო ამ კვირაში განიხილავს. კოლიუბაკინს სახელმწიფო სათათბიროდან დათხოვნის მოელის.

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეშ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისაკენ: 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

ბორჯომამდე: 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

ჯულფამდე: საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

ერევნამდე: სამგზავრო და საქონ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

მცხეთამდე: მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საგარეკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარეკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

ბაქოდან: 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

ბორჯომიდან: 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

ჯულფიდან: საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

ერევნიდან: სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

მცხეთიდან: მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საგარეკო N 6 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარეკო N 6, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

ტფილისის სათ.-აზნაურო საადგილ-მამულო ზედამხედველო
კომიტეტი
ამით აუწყებს ბ-ნ რწმუნებულთ, რომ 1909 წლის 23 მაისისთვის დანიშნულ ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრებაზე **მოხდება არჩევნები** ამ ბანკის გამგეობის წევრისა, ნაცვლად 21 აპრილს გარდაცვლილ ვ. ა. სულხანიშვილისა. (3—უ.—1)

მოსამსახურე ქალი
ძალიან გამოცდილი. შემიძლიან დავრდომილ ავადმყოფთა მოვლა. მალაკნის ქ., სახლი სარქისოვისა, № 27. იკითხეთ დიანოზ ფუცხვანიძე. (1—128—1)

ექიმი ი. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლეკაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—47)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურჩოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
საღამოთ:
ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—74)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა
ნუ რცხვენით ქალებს!..
ანუ
„კაცობრიობის მტერნი“
შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.
ფასი 65 კაპ.
„დროების“ ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 51, ф. Каминской

20 მაისიდან 1 ოქტომბრამდის გახსნილი იქნება საექიმო სეზონი
● „ზეკარის“ ●
◀ ცხელი წყლის ▶
აბანო
როგორც გამოკვლეულია ქიმიის მაგისტრის ბ-ნ სტრუვეს მიერ, ზეკარის წყალი თავის საექიმო თვისებებით სრულიად უდრის აბასთუმნის გოგირდის წყლებს. საუკეთესო ძალას იჩენს ეს აბანო შემდეგ სენების განკურნვაში: რევმატიზმი, ბუასილი, თავის ტკივილი, საყმაწვილო, ქალთა ავადმყოფობა, ჩუმი ციება, გულის სისუსტე და სხვა.
აბანო ესე მდებარეობს ჰაერის მხრივ მშვენიერ მთიან ალაგას, 47 ვერსტის მანძილზე ქ. ქუთაისიდან და 22 ვერსტზე დ. ბაღდათიდან, აბასთუმნის გზაზედ. მიმოსვლა ბაღდათამდე სწარმოებს დილიჟანით და შემდგომ კი ლინეიკით, რომელნიც დანიშნულ დროზე დაიარებიან ყოველ დღე და ღირს ქუთაისიდგან აბანომდე 1 მანეთი და 60 კაპეიკი.
აბანოს აქვს სამი კერძო, ცოლშვილიანთათვის, და ორი საზოგადო ვანნა სუფთა და სრული, ამასთანავე არის 28 სადგომი ნომერი მომავლელთათვის. ფასი ვანნების კერძოსი 20, 25 და 30 კაპ. სულზე, მხოლოდ საზოგადო ვანნებში კი 15 კ. სადგომი ნომრები დღე და ღამ ღირს დაწყებული 60 კაპ. 1 მან. 50 კაპ. და 15 მანეთიდან 30 მანეთამდე თვიურად.
ამასთანავე აბანოს აქვს მორთული ცალკე მშვენიერი სუფთა სასადილო ევროპიულ და ჩვენებურ საჭმელებით. სადაც ყოველთვის მზადდება საჭმელები ახალ სანოვაგესაგან ძლიერ დაკლებ. ფასებში. იქვე მიიღება ღვინო და სხვა მაგარი სასმელებიც.
—ეზო ნათლდება დიდი გაზის ფანრით—
წყლებს იცავს სამხედრო დარაჯები.
(4—191—3) თ. ი. კუსაკანი.



I-ლი კავკასიის საფუტკრე
ადოლფ დიუმასი.
ტფილისი, მიხეილის პროსპ., N 140.
სკები და მისი ნაწილები საკუთარ ელექტრო-ტეხნიკურ სახელოსნოში დამზადებული. ხელოვნური ფიჭა. მეფუტკრეობის იარაღი. თაფლის გამოსაწური, სანთლის გადამდნობი, შესტერნები, ვალცები და სხვა. დარიგება ხელოვნურად დედა-ფუტკრების გასაშენებლად.
საგანგებო მომშენებელი კავკასიის წმინდა ჯილაგის დედა-ფუტკრებისა.
თაფლი საკუთარ საფუტკრისა. წიგნები და სახელმძღვანელოები. სურათებიანი პრეისკურანტი უფასოდ. (10—ნახ.—10)

დაიბეჭდა და დარიგდა საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში
ახალი არსენას ლექსი.
ეს გამოცემა შევსებულია მრავალის ახალი ცნობით. დაწვრილებით არის აწერილი არსენას თავგადასავალი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ.
წიგნი დასურათებულია 12 სურათით, გარეთ კანი კი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ოთხი ფერით. წიგნი 32 გვ. და ღირს ორ შაურად. გამყიდველებს % მორიგებით. ადრესი ტფილისი, სტ. „სორაპანი“. (10—6.—3)

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.